



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030457935218318

№ 04-378/ო

25 / ივნისი / 2018 წ.

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით
გათვალისწინებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების
შესახებ“ სააგენტოს 2013 წლის 12 აპრილის N04-185/ო ბრძანებაში ცვლილების
თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) ადმინისტრირების პირობების დაზუსტებისა და გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის № 01/35746 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2013 წლის 12 აპრილის N04-185/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი შეიცვალოს წინამდებარე ბრძანების N1 დანართით:

„ა) მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი და/ან გეგმიური სტაციონარული მომსახურების შესახებ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების ფორმა (დანართი N1)“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ონკოპრეპარატების და ბაზისური მედიკამენტების საანგარიშგებო ფორმა“ (დანართი N1.1) შეიცვალოს იმავე ნომრის მქონე, ამ ბრძანების დანართის სახით წარმოდგენილი ფორმით (დანართი N1.1);

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი შეიცვალოს წინამდებარე ბრძანების N3 დანართით:

„გ) „მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი და/ან გეგმიური სტაციონარული მომსახურების და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ონკოპრეპარატების და ბაზისური მედიკამენტების შესახებ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი ელექტრონული ანგარიშგების ფორმების შესახებ წესი (დანართი N3)“.

2. დავეალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/ გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის,

სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



მიხეილ დუნდუა